პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

1977 ოთხშაბათი 27 ივლისი № 173 (16913) ფასი 2 კაპ. 1977

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

# რწმენისა და ოპოზიციის წყარო

ერთიან მონოლითურ ოჯახად, საერთო გრძნობებითა და მისწრაფებით გამსჭვალულნი ეგებებიან მოძმე საბჭოთა ხალხები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს. ღირსშესანიშნავი თარიღის დღესასწაულისათვის მზადება დაემთხვა სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვას. მილიონობით საბჭოთა ადამიანის შეგნებაში საბჭოთის სახელოვანი იუბილე და მისი ახალი ძირითადი კანონის მომავალი მიღება ერთმანეთს ერწყმის და სოციალიზმის გამარჯვებასა და აყვავებას მოწმობს.

მიღწეულის მწვერვალებიდან უფრო ნათლად მოჩანს მშობლიურ მიწა-წყალზე მომხდარი რევოლუციური გარდაქმნების გრანდიოზული მასშტაბი, იმ მონაპოვართა და გამარჯვებათა სიღიადე, რომლებიც ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით მოვიპოვეთ. ექვს ათწლეულში ჩვენ ისეთი გზა გამოვიარეთ, რომლითაც სამართლიანად შეგვიძლია ვიამაყოთ. ჩვენმა ქვეყანამ ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების მაღალ დონეს მიაღწია.

მზოლოდ სოციალისტურმა წყობილებამ — მშრომელი ხალხის ნებაბერაზული შემოქმედებითი ძალიერების განსახიერებამ შეძლო უზარმაზარი საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარის პროგრესის ისეთი ტემპი, როგორიც არ ახსოვს ისტორიას. 1977 წელს სსრ კავშირის ეროვნული შემოსავალი რევოლუციამდელ დონესთან შედარებით 68-ჯერ გაიზარდა, მრეწველობის პროდუქცია — 145-ჯერ გადიდდა. თუ რევოლუციამდე ჩვენი ქვეყნის წილად მსოფლიო სამრეწველო წარმოების ოთხ პროცენტზე ოდნავ მეტი მოდიოდა, ახლა მისი მეხუთედი მოდის. იმ დროს, როდესაც კაპიტალიზმს საერთო კრიზისის გაღრმავება სულ უფრო მკაფიოდ ვლინდება ხერხიოსული ეკონომიკური დაქვეითების, სოციალისტური საზოგადოება გეგმაზომიერად ზრდის თავის მატერიალურ-ტექნიკურ პოტენციალს, ვინაიდან მისმა ეკონომიკამ არ იცის რა არის კრიზისი და დღენიადაგ ვითარდება. ჩვენ ვაწარმოებთ გაცილებით მეტ თუჯს, ფოლადს, ნავთობს, რკინის, მანგანუმისა და ქრომის მადნს, კოქსსა და ცემენტს, ტრაქტორებსა და ელმავლებს, ბამბას, სელს, მინერალურ სასუქებსა და ბევრი სხვა სახეობის პროდუქციას, ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყანა. ახლა საბჭოთა ხალხი მტკიცედ აღწევს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ახალ მაღალ მიჯნებს, რომლებიც სკკპ XXV ყრილობამ დაგვისახა.

სოციალისტური ეკონომიკის დინამიზმი ეხამება ხალხის სულიერი ცხოვრების უმაგალითო აღმავლობასა და მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ჩვენს ქვეყანაში სამუდამოდ მოისპო კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი სოციალური წყლულები — შიმშილობა და სიღატაკე, უმუშევრობა და უწიგნურობა, სოციალური და ეროვნული ჩაგვრა. ყველა მოქალაქეს აქვს გარანტირებული ჭეშმარიტი თავისუფლება და დიდი დემოკრატიული უფლებები.

ასე გვარწმუნებს ცოცხალი სინამდვილის ფაქტები რეალური სოციალიზმის გადამწყვეტ უპირატესობაში. აცილებრიობისათვის მისი გამოცდილების მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა ის არის, რომ სოციალიზმი გვაძლევს მშრომელთა ინტერესების შესაბამისი საზოგადოების ყველაზე სამართლიანი ორგანიზაციის მაგალითს.

სსრ კავშირში აშენებული განვითარებული სოციალიზმი დღეს-დღეობით სოციალური პროგრესის უმაღლესი მიღწევაა. სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტი მკაფიოდ განსაზღვრავს მის ძირითად ნიშნებსა და თავისებურებებს. ეს არის საზოგადოება, რომელშიც შექმნილია მძლავრი საწარმოო ძალები და გამოუფამებით უმჯობესდება ხალხის კეთილდღეობა, უფრო ხელმეწყობი პირობები ექმნება პიროვნების ყოველმხრივ განვითარებას. ეს არის მომწიფებული სოციალისტური ურთიერთობის, მშრომელების — პატრიოტებისა და ინტერნაციონალისტების მაღალი ორგანიზებულობის, იდეურობისა და შეგნების საზოგადოება. ეს არის ჭეშმარიტი დემოკრატიის საზოგადოება, რომლის ცხოვრების კანონია საყოველთაო ზრუნვა თითოეულის კეთილდღეობისათვის და თითოეულის ზრუნვა ყველას კეთილდღეობისათვის.

ახლა, როცა სოციალიზმი უკვე თავის ხაკუთარ საფუძველზე ყალთარდება, სულ უფრო სრულად ვლინდება ახალი წყობილების აღმშენებლობითი ძალები, სოციალისტური ცხოვრების წესის უპირატესობა. საბჭოთა ადამიანები უფრო ფართოდ ხარგებლობენ თავიანთი დიადი რევოლუციური მონაპოვრების ნაყოფით. კონსტიტუციის პროექტში ნათლად არის ნაჩვენები, თუ როგორ გაღრმავდა მათი სოციალურ-ეკონომიკური უფლებების შინაარსი და როდენ მდიდარი და მნიშვნელოვანი გახდა ამ უფლებების მატერიალური გარანტიები. მილიონობით ჩვენი ახალგაზრდეული მეგობრისა და კლასობრივი ძმისთვის ყოველივე ეს არის შთამაგონებელი მაგალითი იმისა, თუ როგორ ისხამს პრაქტიკულად ხორცს მშრომელ ადამიანთა საუკუნო ოცნება ბედნიერებაზე — იყოს თავისი ბედის ბატონ-პატრონი. ჩვენი მოწინააღმდეგენი ცდილობენ შეახუსტონ ამ შესანიშნავი მაგალითის მიმზიდველი ძალა და ყოველნაირად ისწრაფვიან უკულმართი წარმოდგენა შეუქმნან კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელებს რეალურ სოციალიზმსა და მის მიღწევებზე. იმისათვის, რომ დაუმალონ ხალხს ჭეშმარიტება, ჩარჩი მოსცხონ ახალ წყობილებას, ბურჟუაზიული პროპაგანდისტები არავითარ ცილისმწამებლურ მონაჭორს არ ერიდებიან.

„ქმედითი შეტევითი ბრძოლა იმპერიალისტური რეაქციის იდეოლოგიური დივერსიების წინააღმდეგ მოითხოვს გადაჭრით, ოპერატიულად ვამხილოთ ნაირ-ნაირი ცილისმწამებლები და ფალსიფიკატორები. ამასთანავე უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ წარმატებათა დაუცხრომელ პროპაგანდას, რომლებსაც საბჭოთა კავშირი, მსოფლიო სოციალისტური სისტემა აღწევენ კაპიტალიზმთან შეჯიბრებაში. საქმე ეხება უწინარეს ყოვლისა იმას, რომ იდეოლოგიური მუშაობის ყველა საშუალებითა და ფორმით კიდევ უფრო მკაფიოდ ცხადყოთ სსრ კავშირის სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების უთვალსაჩინოესი მიღწევები ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში, ხალხის კეთილდღეობის განუხრელ გაუმჯობესებაში. უფრო ღრმად განვმარტოთ პოლიტიკური სტრატეგია, რომელიც სკკპ XXV ყრილობამ შეიმუშავა ჩვენი საშობლოს განუწყვეტელი წინსვლის უზრუნველსაყოფად. პრესა, ტელევიზია და რადიო, მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის ყველა ორგანო მოწოდებული არიან დამაჯერებლად გამოავლინონ სოციალიზმის ძირეული უპირატესობანი, გააცნონ მსოფლიოს ხალხებს სიმართლე ახალი საზოგადოებრივი წყობილების შესახებ.

საბჭოთა ადამიანებს ყველა საფუძველი აქვთ იმისა, რომ ოპტიმისტურად შეხედონ მომავალს: ჩვენ ვიცით, რომ იგი სოციალიზმსა და კომუნიზმს ეკუთვნის. საზოგადოების ასეთი წინსვლა-განვითარების კანონზომიერება დაადასტურა დიდი ოქტომბრით დაწყებული ეპოქის მთელმა სამოცი წლის ისტორიამ. იაპონური გაზეთის „ასაჰის“ მთავარი რედაქტორის კითხვას ორი სხსტემის შეჯიბრების პერსპექტიკების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ასე უპასუხა: „რაც შეეხება საკითხს, თუ ვის ეკუთვნის მომავალი, ჩვენ მტკიცედ გვწამს სოციალისტური წყობილების უპირატესობა“.

ასეთი ურყევი რწმენა დამახასიათებელია ყველა კომუნისტისათვის, ყველა შეგნებული საბჭოთა მშრომელისათვის. ვქმნით რა ახალ საზოგადოებას, ჩვენ გვწამს მისი დიადი ისტორიული უპირატესობანი. ეს რწმენა მილიონობით საბჭოთა ადამიანს შთაგონებდა და შთაგონებს გმირულ შრომითს მიღწევებს კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

**ПРАВДА** 26 ივლისის მოწინავე

# საოქტომბრო ვაჩარი

## საქართველოს მრეწველობის მუშაკთა წარმატება

რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება საიუბილეო წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის წარმატებით განაღდებისათვის, ვადამდე, 26 ივლისს შეასრულეს უმნიშვნელოვანეს სახეობათა სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციისა და წარმოების მოცულობის 1977 წლის იანვარ-ივლისის გეგმა.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ქალაქ თბილისის „საქნავთობის“, „საქსამთოქიმრეწვის“, შამპანური ღვინოების, „თბილისღვინოს“ საწარმოო გაერთიანებების, კონიაკის კომბინატის, ფეხსაცმლის ფაბრიკა „ნარიყალას“, № 2 და № 3 ტრიკოტაჟის, 1 მაისის სახელობის, „ნადიკვრის“ სამკერვალო ფაბრიკების, ჩაის საწონი ფაბრიკის, ქალაქ ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის, აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების, „გელათის“ და კიროვის სახელობის სამკერვალო საწარმოო გაერთიანებების, ტყავფეხსაცმლის კომბინატის, ავეჯის ფაბრიკის; ქალაქ რუსთავის მეტალურგიული, ქიმიური ბოჭკოს, ამწეთსაშენებელი ქარხნების, ქალაქ ბათუმის სტალინის სახელობის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის, კიროვის სახელობის ტყავისა და სამკერვალო საწარმოო გაერთიანებების, ქალაქ ცხინვალის „ემალსადენის“ ქარხნის, სამკერვალო ფაბრიკის, ქალაქ გორის ბამბეულის კომბინატის, ქალაქ ჭიათურის „ჭიათურმანგანუმის“ სამთამადნო კომბინატის, ქალაქ ზუგდიდის ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის კოლექტივებმა.

## გეგმა — ვადამდე

ქალაქ თბილისის მრეწველობის მუშაკებმა, რომლებიც შეჯიბრებაში არიან ჩაბმული საიუბილეო წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, 26 ივლისს განაღდეს უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის რეალიზაციისა და წარმოების 1977 წლის იანვარ-ივლისის გეგმა.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი „თბილისღვინოს“, შამპანური ღვინოების საწარმოო გაერთიანებების, ფეხსაცმლის ფაბრიკა „ნარიყალას“, № 2 და № 3 ტრიკოტაჟის, 1 მაისის სახელობის, „ნადიკვრის“ სამკერვალო ფაბრიკების, ჩაის საწონი ფაბრიკის, კონიაკის კომბინატის კოლექტივებმა.

(საქინფორმი).

## გოგონების მისაბაძი მაგალითი

ზუგდიდი, (საკ. კორ.). ოთხნი არიან, ტოლნი არიან, ერთად დადიან ჩაის საკრეფად, — იტყვიან ხოლმე თანასოფლელები, როცა დილადაღრიან ჭილისქუდიანი ცქრიალა გოგონებანანა სართანია, ლუიზა ფიფია, მზიური ბულია და თამილა თოდუა გვერდზე კალათმოგდებულნი მიეშურებიან პლანტაციებისაკენ. მათ საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე დაიწყეს მუშაობა მშობლიურ ოდიშში. შარშან თითოეულმა 3 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა.

წელს კომკავშირელმა გოგონებმა გადაწყვიტეს თითოეულმა მოკრიფოს 4 ათასი კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი.

სურათზე: ნანა სართანია, ლუიზა ფიფია, მზიური ბულია და თამილა თოდუა ახლა ყოველდღიურად 70-80 კილოგრამ ფოთოლს კრეფენ. დღემდე ყოველ მათგანს მოკრეფილი აქვს 2.700 კილოგრამამდე მეტი.

ვ. ყუშუნიას ფოტო.

# ტემპი, ტემპი, მეჩაიეობ!

ჩაის ფოთოლი ვკრიფოთ შეუფერხებლად, არ გავაუხეშოთ ნედლეული!

## ხოგელთა ნოგათი

**ჩაის** პლანტაციების კარგი მოვლით, ფოთლის განუწყვეტლივ და ყოველ ამინდში კრეფის შედეგად ხობის რაიონის მშრომელები საიუბილეო წელს სასახელოდ მუშაობენ. მათ ვალდებულებით ფოთლის კრეფის წლიური გეგმა უნდა შეესრულებინთ 10 აგვისტოსათვის, თებერვრად 25 ივლისისათვის გადაჭარბებით გაანაღდეს, მოკრიფეს და სახელმწიფოს ნაცვლად 5.945 ტონისა 6.027 ტონა ჩაის ნედლეული მიაყიდეს.

ხობელმა მშრომელებმა გადაწყვიტეს აჭარელთა პატრიოტული თაოსნობის პასუხად წელს სეზონში სულ მოკრიფონ 7.500 ტონა „მწვანე ოქრო“ ნაცვლად ადრე ვალდებულებით ნაკისრი 7.000 ტონისა — ეს „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს საქართველოს კომპარტიის ხობის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. ნადარაიამ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ლ. ბუკიამ.

## მოკრეფილია 27.792 ტონა

**ქობულეთი.** („კომუნისტი“ საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეჩაიეები დამკრეფლურად მუშაობენ იმისათვის, რომ კრეფის ტემპი არ შეანელონ და ნაკისრი ვალდებულება სასახელოდ შეასრულონ. ინიციატორებმა 26 ივლისისათვის მოკრიფეს და გადასამუშავებლად ფაბრიკებს ჩაბარეს 27.792 ტონა ფოთოლი — ეს შარშან ამავე პერიოდთან შედარებით 3.706 ტონით მეტია.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა, დაგვის კოლმეურნეობა, რომელსაც წლიური გეგმა ვალდებულებით გათვალისწინებული 1.760 ტონა ფოთოლიდან მოკრეფილი აქვს 1.400 ტონაზე მეტი.

ჩაქვის საბჭოთა მეურნეობაში წელს სეზონის დაწყებიდანვე კარგი ტემპი აიღეს. იულისში ეს ტემპი არ შენელებულა. ამის შედეგად უკვე მოკრეფილია და სახელმწიფოს მიეყიდა 1.783 ტონაზე მეტი „მწვანე ოქრო“.

საიუბილეო წელს ადამდე ერთი თვით ადრე მოკრიფოთ და სახელმწიფოს მივყიდოთ 36.880 ტონა ფოთოლი — ასეთი დევიზით მუშაობენ ახლა ქობულეთელი მეჩაიეები.

მ. გორგილაძე.

## ახმეტელ მეაგრეშუმეთა საქმეები

**ახმეტის** რაიონის მშრომელებმა სიტყვა საქმედ აქციეს. 665 ციენტნერის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდეს 776 ცენტნერი აბრეშუმის პარკი.

წლიური გეგმა-ვალდებულებით სანაწვეერალო სიმინდი უნდა დათესოთ 2.500 ჰექტარზე. 21 ივლისისათვის ეს დავალება 100 პროცენტით შესრულდა. თესვა გრძელდება. ეს „კომუნისტის“ რედაქციას აცნობა ახმეტის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ა. ჭუნიაშვილმა.

# თავდადებული შრომა

ეროვნული ბიბ-ოთეკა

**დნეპროპეტროვსკი**
პარტიის საოლქო კომიტეტი ამხ. ე. ვ. კაჩალოვსკის, საოლქო აღმასკომი ამხ. მ. ვ. პაშოვს

**ზაპოროჟიე**
პარტიის საოლქო კომიტეტი ამხ. მ. ნ. ვსევოლოჟსკის, საოლქო აღმასკომი ამხ. პ. ი. მოსკალკოვს

**სიმფეროპოლი**
პარტიის საოლქო კომიტეტი ამხ. ვ. ს. მაკარენკოს, საოლქო აღ. მასკომი ტ. ნ. ჩემოდუროვს

## დნეპროპეტროვსკის, ზაპოროჟიეს და ყირიმის ოლქების სოფლის მეურნეოების მუშრომელებმა შეასრულეს სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვის ვალდებულებანი

**ახორციელებენ** რა სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, დნეპროპეტროვსკის, ზაპოროჟიესა და ყირიმის ოლქების სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებიც ჩაბმული არიან დიდი ოქტომბრის 60 წლის იუბილეს ღირსეულად შეხვედრისათვის გაჩაღებულ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, ჯერ კიდევ მოსავალი მოიწიეს და წარმატებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვის ვალდებულებანი.

**დნეპროპეტროვსკის ოლქის მეურნეობებმა ელევატორებსა და პურის მიმღებ პუნქტებს ჩააბარეს მილიონ 206 ათასი ტონა მარცვლეული,** რაც ბრიგადა დამზადების დაწესებულებულ მოცულობას და ნაკისრ ვალდებულებებს. ძირითადი სასურსათო კულტურა — სიმინდოდგრძო ხორბალი ჩაბარებულია 1.104 ათასი ტონა, აქედან მნიშვნელოვან რაოდენობას შეადგენს ლონიერი და ძვირფასი ჯიშების ხორბალი. შესყიდვა გრძელდება. სულ სახელმწიფოს უნდა მიეყიდონ არანაკლებ 1.400 ათასი ტონა პურისა.

**ზაპოროჟიეს ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სამშობლოს ბელლებში დაბინავეს მილიონ 208 ათასი ტონა მარცვლეული,** მაშინ როდესაც ვალდებულება 1.200 ათას ტონას ითვალისწინებდა. მთლიანად მიმდინარე წელს ოლქის მეურნეობები ბურღულეული კულტურებისა და სიმინდის ჩათვლით სახელმწიფოს მიჰყიდიან სულ ცოტა მილიონ 500 ათას ტონა პურს.

**ყირიმის ოლქის მეურნეობებმა დამამზადებელ პუნქტებში მიიტანეს 651 ათასი ტონა პური,** სულ კი ბრინჯის, სიმინდისა და ფეტვის დამზადებისაგან, სახელმწიფო ბელლებში დაბინავებენ 770 ათას ტონას.

დნეპროპეტროვსკის, ზაპოროჟიესა და ყირიმის ოლქების კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, განაგრძობენ რა სახელმწიფოსათვის პურეულის ზეგეგმითს მიყიდვას, ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა რაც შეძლება მალე მორჩნენ ბაკს, მომამზადონ საგარო ადგილები, ახორციელებენ ღონისძიებებს მომავალი წლის მოსავლის მტკიცე საფუძვლის შესაქმნელად, მთლიანად არიან უზრუნველყოფილი მაღალკონდიციური თესლით.

მიღწეული წარმატება იმის შედეგია, რომ კარგად გაისარჯნენ კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები, სპეციალისტები, ყველა მშრომელი, დიდი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა გასწიეს პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა, ფართოდ გამოიყენეს მოსავლის განვითარება, მოსავლის ორგანიზებული აღება და მკის ვადების შემცირება.

მხურვალედ და გულითადად ვუსოცავ მიღწეულ წარმატებებს დნეპროპეტროვსკის, ზაპოროჟიესა და ყირიმის ოლქების კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, მექანიზატორებს, მეურნეობათა ხელმძღვანელებსა და სპეციალისტებს, სასოფლო-სამეურნეო და დამამზადებელი ორგანოების მუშაკებს, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, ყველა მშრომელს.

გამოვთქვამ რწმენას, რომ სოფლის მშრომელნი ორგანიზებულად დაამთავრებენ ამ სასოფლო-სამეურნეო წელს, წარმატებით შეასრულებენ სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის ყველა პროდუქტის მიყიდვის გეგმებსა და ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს.

ლ. ბრეჟნევი.

## ლ. ი. ბრეჟნევისა და ი. კადარის მეგობრული შეხვედრა

**26 ივლისს** ყირიმში გაიმართა — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევისა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ი. კადარის მეგობრული შეხვედრა.

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ი. კადარმა ერთმანეთს გააცნეს, თუ როგორ წყდება კომუნისტური და სოციალისტური მშენებლობის აქტუალური საკითხები სსრ კავშირისა და უნგრეთში. ლ. ი. ბრეჟნევმა, კერძოდ, თქვა, თუ როგორ მიმდინარეობს სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა. ი. კადარმა განაცხადა, რომ სახალხო უნგრეთის მშრომელებს ეს პროექტი მიაჩნიათ ისტორიულ დოკუმენტად, რომელიც ასახავს განვითარებული სოციალიზმის მიღწევებს.

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ი. კადარმა კმაყოფილება გამოთქვეს საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ყოველმხრივი კავშირურთიერთობების განვითარების, მისი ნეშმარიტად ინტერნაციონალისტური ხასიათის გამო. ამასთან ყურადღება დაეთმო იმას, თუ რა ფართო შესაძლებლობანი აქვს სპეციალიზაციისა და კოოპერირების შედეგად გაღრმავებას ორივე ქვეყნის ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს დარგებში ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს თვალგლებში სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესის განვითარებაში მათს მონაწილეობასთან ერთად.

გაიმართა აზრთა გაზიარება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ი. კადარი შეშფოთებით შეხვდნენ ცნობას ათრიკის ზოგიერთ რაიონში სამხედრო შეტაკებების დაწყების შესახებ. საბჭოთა კავშირი და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა ძალის საშუალებით წახელმწიფოთა შორის დავის გადაწყვეტის მტკიცე მოწინააღმდეგენი არიან. ამგვარი კონფლიქტები ზიანს აყენებენ არა მარტო მათში ჩათრეულ ხალხთა ინტერესებს, არამედ მთელი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ინტერესებს, ქვეყნად მშვიდობის ინტერესებს. გამოითქვა იმედი, რომ კონფლიქტის მონაწილე სახელმწიფოები ყოველ ღონეს იხმარენ ცეცხლის შეწყვეტისა და თავიანთ საზღვრებზე მშვიდობის აღდგენისათვის.

საუბრის დროს აღინიშნა, რომ სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებს უკანასკნელ ხანს არაერთგზის გამოუთქვამთ მოწოდებანი მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებისათვის და წამოაყენეს მთელი რიგი კონკრეტული წინადადებანი, რომლებიც ამ მიზნის მიღწევას ისახავენ. ამასთან სოციალისტური ქვეყნები დადებითად გამოეხმაურებიან სხვა სახელმწიფოთა წინადადებებს, თუ ისინი ხელს შეუწყობენ საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შენელებას, მომწიფებული პრობლემების კონსტრუქციულ მოწესრიგებასა და სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანამშრომლობის განვითარებას.

როცა კომუნისტური და მუშათა მოძრაობის განვითარების საკითხები განიხილეს, ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ი. კადარმა ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რაოდენ ცხოვრებისეულია ევროპის კომუნისტთა ბერლინის კონფერენციის დასკვნები. ამავე დროს საგანგებო ითქვა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე პირობებში სოციალისტური სახელმწიფოების, კომუნისტური და მუშათა პარტიების, აგრეთვე მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის მებრძოლი მთელი ძალების ინტერნაციონალური სოლიდარობის განმტკიცებას.

შეხვედრამ ერთსულოვან, გულითად და გულთბილ ვითარებაში ჩაიარა.

## მოძმე ქუბის დღესასწაული

**25 ივლისს** მოსკოვის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა საზეიმო კრებით აღნიშნეს ქუბის რესპუბლიკის რეგოლუციური დღესასწაული, ეროვნული აჯანყების დღე — ვონ,ადის ყაზარმის შტურმის 24-ე წლისთავი.

კრების პრეზიდიუმში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. პ. კირილენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ვ. ზიმიანინი და სხვები.

მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, საბჭოთა კავშირ-ქუბის მეგობრობის საზოგადოების პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა ვ. ა. საიუშევამ.

კრებაზე გამოსულმა ქუბის დელეგაციის ხელმძღვანელმა ქუბის ხალხთა მეგობრობის ინსტიტუტის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა ვალენტინა სმირნოვამ როდრიგუსმა შეკრებილთა უამბო, თუ როგორ ემზადება თავისუფლების კუნძულის ხალხი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად. დიდი ოქტომბერი ქუბისთვის შთამაგონებელი მაგალითი გახდა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად ბრძოლაში. მან თავისი ხალხის სახელით ულრმესი მადლობა მოახსენა სსრ კავშირს იმ უანგარო დახმარებისა და მხარდაჭერისათვის, რომელსაც უწევდა და უწევს ქუბას. (საკ.).

**საარჯოპაციო ფოსტიდან**

# მე და ჩემი სამშობლო

**დღეს ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყველა კუთხეში საბჭოთა ადამიანები გულმხურვალედ განიხილავენ ახალი კონსტიტუციის პროექტს. „კომუნისტის“ ფოსტა ამ დღეებში განსაკუთრებით რიცხვმრავალია. ჩვენი მკითხველები გვიზიარებენ თავიანთ აზრებს, შეხედულებებს, ოცნებებს მომავალზე. ახლა, ოქტომბრის 60 წლისთავისათვის მზადების დღეებში, ისინი გონების თვალით გასცქერიან გზას, რომელიც ჩვენმა სახელმწიფომ გამოიარა — შრომისა და ბრძოლის სახელოვან გზას. ეს გზა მათი ცხოვრების გზაც არის — ჩვენში ხომ ძველისა და ადამიანის ბედი ერთმანეთისგან განუყოფელია. ამიტომაც დავარქვით მკითხველთა წერილების ამ გვერდს „მე და ჩემი სამშობლო“.**

## მე, აჯარელი ქალი...

**კონსტიტუციის** პროექტის შესავალ ნაწილში ნათქვამია, რომ „მშრომელებსულ უფრო ფართოდ სარგებლობენ დიადი რევოლუციური მონაპოვრების ნაყოფით“. ამის ნათელი დადასტურებაა ჩემი სოფელი და ჩემი ოჯახი. ახალმა წყობილებამ თავისუფლებასთან ერთად გლეხკაცის ოჯახში სიუხვე და ბედნიერება შემოიტანა. ახლი სახლი ავიშენეთ ჩვენც, ძმები ცალკე კომლად დასახლდნენ და ქვითკირის ოდახლებები დაიდგეს.

მე, აჭარელი ქალი, თავდადებულმა შრომამ დიდი ცხოვრების ასპარეზზე გამომიყვანა. ჩემი წარმატებები 1970 წლიდან იწყება. იმ წელიწადს 8 ტონა ჩაი მოვკრიფე, შემდგომ წლებში კი 11 ტონასაც გადავაჭარბე. შრომა დამიფასდა: ჩვენმა მთავრობამ და პარტიამ სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება მომანიჭეს, ხალხმა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად ამირჩია.

ახალი კონსტიტუციის პროექტი ახალ ენერგიას მმატებს — და მავალდებულებს კიდეც, რომ ამ უდიდესი დოკუმენტის გამოქვეყნებას, საბჭოთა სოციალისტური სამშობლოს საიუბილეო თარიღს ახალი შრომითი გამარჯვებებით შეეხვდე.

**ნ. ჯინჭარაძე,**
მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

## სოფლი დიდ გზაზე

**ჟვულ-ჩავუ ლი** ჩემს სოფელს და თვითონვე ჰკვირს, როგორ გაიზარდა და დამშვენდა იგი. დრო კი თითქოს დიდი არ ყოფილა...

1939 წელს საბჭოთა არმიის რიგებში წავედი (წავედი იმიტომ ვამბობ, რომ არავის გავუწვიეიარ, მე თვითონ მინდოდა სამხედრო კომისარიატში და როცა კომისარმა მიზეზი მკითხა, არ დაფუძილა, ვუთხარი — რუსულ ენაში „ორიანი“ გამომყავ, რუსული უნდა ვისწავლო-მეთქი).

ლენინგრადი — სამხედრო ნაწილი, ფინეთის ფრონტი, ლენინგრადის ბლოკადა... ნარვის განთავისუფლებისათვის ბრძოლები, ფრონტის წინა ხაზზე, ერთ-ერთი შეტევის დროს, ფეხქვეშ ნიღმი ამოფეთქდა და ჩემი ფრონტული ისტორიაც სწორედ იქ დამთავრდა. თანამებრძოლებმა მიამბეს, ცალფეხმოგლეჯილი „აცი ცეცლის ხაზიდან როგორ გამომთრია ასეულის მედდამ ლუდმილა ბესმერტნაიამ, რომლის სიცოცხლეც სულ რამდენიმე საათის შემდეგ ასეთივე ოპერაციის დროს გერმანელი სნაიპერის ტყვიამ შეაწყრა. არასოდეს, არასოდეს დამავიწყდება მისი სახე, მისი სახელი. სწორედ ამიტომ ჩემს პირველსავე ქალაქელ ლუდმილას დავარქვი. ეს მთელმა სოფელმა იცის.

ფრონტი, ფრონტული ამბები ისტორიას ჩაბარდა, მაგრამ არავინ და არაფერია დავიწყებული.

ვუყურებ ჩემს სოფელს და მეამაყება, რომ მის აყვავებაში წილი დაიდეს ფრონტზე დაღუპულმა ჩემმა მოძმეებმა, მათი თავგანწირვის შედეგად მოპოვებულმა მშვიდობამ შეგვიქმნა მშენებლობისა და განვითარების პირობები.

ბოდბე ერთ-ერთი დიდი სოფელია სიღნაღის რაიონში, კეთილმოწყობილი, შეძლებული, ლამაზი სოფელი. სახლები და გაწყობილი ეზო-კარმიდამო ტყუპი ძმებივით ჰგავთან ერთმანეთს. აი თუნდაც მეცხვარე ნიკალა ჯანიაშვილს, მეგენახე მიშა ლაზარიაშვილს, მეფედელ გოგია ნანდოშვილს, მექანიზატორ ილია ბეგაშვილს — ქალაქის ყაიდაზე აქვთ სახლკარი მოწყობილი. თუ ტაბახში არ ჩამომართმევენ, მათზე ნაკლებად არც მე ვცხოვრობ, ცალფეხა კაცი.

აბა, როცა საბჭოთა კონსტიტუციის ახალ პროექტს ვეცნობით, ცხადია, ყველა ჩვენგანის წინაშე ისმება კითხვა — რა გაკეთდა წინამორბედ კონსტიტუციის პერიოდში? ყოველივე, რაც ჩემს სოფელს, ჩემს ხალხს ახარებს, ამჟამად მოქმედი საბჭოთა კონსტიტუციით, თავისუფალი და შეგნებული შრომის შედეგად გაკეთდა.

ბორღითა და წერაქვით ვირკინებოდით. საშუშაო ადგილის მოუწყობლობის გამო ვვიჭირდა წაღებისეულის მოპოვება, კიდევ უფრო გაძნელებული იყო მისი მიწის ზედაპირზე ამოტანა. სათბობის მთელი ტრანსპორტირება ხელით ან ცხენების საშუალებით ხდებოდა.

ახლა კი ინებეთ და გაიარეთ შატის ტრირეტორაზე, ჩაეშვით ღრმა ჰორიზონტებზე და ყველგან შეაგროვებ ოდენ ელექტრონულ ენერგიას. ეს ენერგია ბოლოს ეფარ ეფარ ეფარ

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ „ᲛᲜᲗᲝᲛᲑᲘᲡ“ მოთავდ
ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲩᲘᲥᲝᲕᲐᲜᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ რომა-
ᲜᲘᲡ ᲑᲘᲭᲓᲕᲐ, რითაც ერთ თავისე-
ᲑᲣᲠ ᲓᲘᲚᲝᲒᲐᲓ ᲙᲝᲛᲔᲛᲝᲠᲘᲪᲘᲣᲠᲐᲓ შ-
ᲔᲛᲐᲠᲐ ᲝᲠᲘ რომანი „ᲛᲘᲬᲐ“ და
ᲛᲘᲡᲘ ᲬᲘᲜᲐᲛᲝᲠᲑᲔᲓᲘ — „ᲗᲔᲗᲠᲘᲕᲐᲚᲘ
ᲓᲐᲓᲒᲐᲝ“...

ᲘᲡ ᲓᲘᲚᲝᲒᲘᲐ ᲡᲐᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲘ ᲡᲐᲩᲣ-
ᲥᲐᲠᲘᲐ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑ-
ᲠᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲕᲝ-
ᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲝᲪᲣ ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲜᲘᲗ.
ᲠᲘᲜ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ
ᲐᲠᲘᲡ ᲢᲝᲚᲘ ᲘᲡᲯᲐ ᲐᲥ ᲒᲐᲘᲠᲘᲗᲘᲐᲜᲔ-
ᲑᲣᲚᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲗᲕᲘᲗ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲛ
ᲓᲐᲐᲠᲘᲡᲮᲐᲜᲐ ᲩᲕᲔᲜ „ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲝᲥ-
ᲛᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ ᲓᲐ ᲒᲚᲔᲯᲐᲪᲐᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲘ-
ᲜᲘᲗᲐ ᲜᲐᲑᲭᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ-
ᲥᲛᲜᲐ-ᲐᲦᲠᲩᲘᲜᲔᲑᲐ ᲝᲪᲘᲐᲜ-ᲝᲪᲓᲐᲐᲗᲘᲐᲜ
ᲬᲚᲔᲑᲨᲘ.

ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲗᲣ-
ᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲓ-
ᲔᲚᲘᲡᲐ ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲓᲐᲓᲒᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲑᲣ-
ᲜᲔᲑᲘᲡᲣᲚᲘ, ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲣᲚᲘ ᲐᲗᲐᲗ
ᲬᲚᲠᲐᲡᲐ ᲛᲘᲪᲔᲓᲐᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ
ᲓᲦᲔ. ᲐᲛᲗᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲓᲐᲘᲪᲐᲕ
ᲠᲝᲛ ᲮᲚᲘᲡ ᲨᲔᲣᲞᲝᲛᲐᲠᲘ ᲬᲐᲛᲔᲑᲚᲝᲑᲐ
ᲓᲐᲡᲐᲯᲘᲠᲓᲐ. 1917 ᲬᲚᲘᲡ ᲗᲔᲗᲠᲘᲕᲐᲚ-
ᲜᲘ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲛᲧᲠᲝᲑᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ Დ-
ᲐᲒᲔᲑᲐ ᲖᲝᲚᲝᲜᲘᲣᲠᲘ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲘᲡ ᲓᲐᲛᲮᲝ-
ᲜᲘᲡ ᲓᲦᲘᲓᲐᲜ (ᲒᲣᲗᲛᲔᲓᲐ, ᲪᲘᲪᲔᲚᲡᲗᲕᲘᲡ
ᲨᲔᲜ ᲐᲘᲗᲮᲝ, ᲐᲣᲪᲠᲔᲚ! ᲐᲠᲘᲛᲝᲮᲓᲐ
ᲨᲔᲜᲘᲡ ᲐᲦᲒᲙᲘᲜᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲚᲐᲪᲘᲠᲝᲜᲘᲡ)
ᲓᲘᲓᲠᲘ 1921 ᲬᲚᲘᲡ ᲗᲔᲗᲠᲘᲕᲐᲚᲛᲓᲔ,
ᲠᲝᲓᲡᲐᲪ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ
ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲗ ᲛᲝᲮᲓᲐᲗᲣᲚᲘ ᲐᲮᲐᲚ ᲘᲡᲢᲝ-
ᲠᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲑᲘᲢᲐᲨᲘ ᲛᲝᲛᲙᲦᲐ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ-
ᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲛ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲠᲝᲛ ᲔᲙᲚᲔ-
ᲡᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲚᲔᲥᲪᲘᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲐ
ᲞᲐᲢᲐᲠᲐ, ᲒᲐᲜᲗᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲕᲠᲝᲠᲗᲘᲡ
ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ, ᲖᲜᲔᲑᲘ-
ᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲔᲕᲠᲝᲠᲗᲘᲡ
ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ
ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐᲠᲒᲚᲘᲗᲐ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ
ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲬᲘᲜᲐᲛᲝᲠᲑᲔᲓᲘ — „ᲗᲔᲗᲠᲘᲕᲐᲚᲘ
ᲓᲐᲓᲒᲐᲝ“ ᲓᲐ „ᲛᲘᲬᲐ“ ᲛᲘᲡᲘ ᲬᲘᲜᲐᲛᲝᲠᲑᲔᲓᲘ
ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲛᲘᲬᲘᲡ
ᲜᲐᲒᲚᲔᲯᲘ. ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲔᲠᲗᲘ
ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ
ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲐᲠᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘ
ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ
ᲛᲘᲬᲘᲡ

# ასე აფასებენ

## თბილისის სამხატვრო აკადემია — სტუმართა თვალით

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში, რომლის დაარსების 55-ე წლისთავი ამ დღეებში შესრულდა, მრავალი საბჭოთა და საზღვარგარეთელი სტუმარი ყოფილა და თავისი აზრი გამოუთქვამს კულტურის ამ ცნობილი კერის საქმიანობაზე. უინტერესო არ იქნება გაზეთის მკითხველებს ზოგიერთი მათგანი გავაცნოთ.

იტალიის პრეზიდენტმა ჯოვანი ლეონემ, რომელმაც დათვალიერა სამხატვრო აკადემიის დარბაზებში ექსპონირებული სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ქმნილებები, თქვა: —ჩვენ, იტალიელებს ბედმა ვვარგუნა, რომ მსოფლიო სახვითი ხელოვნების ბევრი შედევრი ჩვენთან არის. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ განებივრებულებიც კი ვართ, მაგრამ რაც აქ ვნახე, განსაცვიფრებელი, მოსაწონი და ნამდვილად საამაყოა".

ბოლო ათი-თორმეტი წლის მანძილზე აკადემიაში იყვნენ საფრანგეთიდან, ინგლისიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, უნგრეთიდან, იაპონიიდან, უეგოსლავიიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, თურქეთიდან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან და დასავლეთ გერმანიიდან, საბჭოთა კავშირის მოძმე რესპუბლიკებიდან ჩამოსული სტუმრები. ჩვენი სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმი შეტანილია ღირსშესანიშნობათა საკავშირო კატალოგში.

აკადემიის ესტუმრნენ ამერიკელი ჟურნალისტი და მწერალი ჯ. ბოდი, პროფესორი ჯ. ხენცერი, რომლებმაც დაწერილებით შეისწავლეს სასწავლო პროცესი, შემოქმედებითი მიღწევები, აღნიშნეს ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკების ნამუშევართა ღირსებები და აღიარეს, რომ ამერიკელი სპეციალისტები დიდი პატივისცემით იხსენიებენ ჩვენი ქანდაკების დიდოსტატს იაკობ ნიკოლაძეს, მის „ჩახრუხაძეს".

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთი დელეგაციის მეთაურმა, პროფესორმა ჰ. ერხარდმა შთაბეჭდილებათა წიგნში ჩაწერა: „ბევრად მიმოგსაურია. მართალი ბერნხრათ, თქვენთან რაც ვნახე, ეს საამაყოა. ასეთი უმაღლესი სამხატვრო სასწავლებელი ევროპაში ცოტა მეგულება".

იაპონელმა მოქანდაკემ ჰ. ჰორინომ აღნიშნა: „საქართველოში პირველად ვარ, მოგვწონს თქვენი აკადემია. პრესისა და ლიტერატურის საშუალებით გაგვიგონია მისი მიღწევები. ახლა კი საკუთარი თვალით ვნახეთ და დავრწმუნდით, რომ იგი სამართლიანად არის სახელგანთქმული სწავლების ხარისხითა და შემოქმედებითი ატმოსფეროთი. იაპონიაში გვაქვს სახვითი ხელოვნების უმაღლესი სკოლა, ვფიქრობთ, თქვენთან ნანახის შემდეგ ბევრ რამეს გადავიტანთ."

# პოლონელებმა ნახეს

### „სტუმარ-მასპინძელი" კრაკოვის სცენაზე

**1977 წლის 3 ივლისი** ქართული თეატრის ისტორიის მნიშვნელოვანი თარიღი გახდა. პოლონეთის ერთ-ერთ წამყვან კულტურულ ცენტრში, კრაკოვში, დადგა ვაჟა-ფშაველას პოემა „სტუმარ-მასპინძელი", დადგმა განხორციელა საბჭოთა ახალგაზრდული თეატრ „სტუნ"-ის ბენობაში და მისი მსახიობების მონაწილეობით. ეს მოხდა იმ შემოქმედებითი ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც დადებულია მეტეხის ახალგაზრდულ თეატრსა და კრაკოვის თეატრ „სტუნ"-ს შორის და რომელიც გულისხმობს დამდგმელი ჯგუფებისა და დასების გაცვლას, რის შედეგადაც ვაჟა-ფშაველა გამოჩნდა ევროპის თეატრის სცენაზე.

მეტად საინტერესო აღმოჩნდა მუშაობა თეატრ „სტუნ" სპეციფიკურ პირობებში და მის უდაოდ ნიჭიერ და პროფესიულ დასთან. თეატრის დროებითი ადგილსამყოფელია ჟზარმაზარი კარავი (500 მაყურებელი), რომელიც აღჭურვილია თეატრალური სანახაობისათვის აუცილებელი ყველა კომპონენტით. დასმა დიდი ინტერესი, მონდომება და ხალისი გამოავლინა ნაწარმოებზე მუშაობისას. ეჭვი უნდა მოვიხსენოთ პოლონური ტექსტის ავტორი, ცნობილი პოეტი ვ. დომბროვსკი, რომელმაც, სპეციალისტთა აზრით, ბრწყინვალედ თარგმნა ვაჟა-ფშაველა.

პრემიერაზე დასასწრებლად კრაკოვში ჩამოვიდა თბილისს ახალგაზრდული ინტელიგენციის ჯგუფი, რომლის ორგანიზაცია მეიკუთვნება საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებას.

თეატრალური კრაკოვი ინტერესით ელოდა ქართველი რეჟისორის ნამუშევრის გაცნობას. პოლონური თეატრის ავტორიტეტი და ქართული ხელოვნებისადმი ინტერესი მაყურებლის გარკვეულ ცნობისმოყვარეობასაც ბადებდა.

პრემიერას უამრავი ხალხი დაესწრო. წარმოდგენაზე მოვიდნენ საბჭოთა კავშირის კრაკოვს გენერალური საკონსულოს წარმომადგენლები. „სტუნ" მთავარმა რეჟისორმა კ. ლასანსკიმ, რომელიც ზემოთ ხსენებული შეთანხმების თანახმად მალე მეტეხის თეატრის სცენაზე დადგამს ტ. რუჟევიჩის ბიბლიურებულ პიესას „ქართოტეკის", პოლონელ მაყურებელს და სტუმრებს წარუდგინა დამდგმელი ჯგუფი.

მოკლე ცერემონიის შემდეგ დაიწყო წარმოდგენა. ეს იყო ქართველი რეჟისორის საინტერესო მხატვრული და მუსიკალური კომპონენტების ნაერთი — ვაჟას განუმეორებელი ბუნება, მისი ორიგინალური აზროვნება, ეკრანპიელად და ამავე დროს მეტად ეროვნულად წარმოუდგა მაყურებელს. თბილისიდან ჩამოსული სტუმრებს აღელვებდათ პოლონელების მიერ სრულად აღქმული ქართველი პოეტი. უდაოდ იყო მსახიობთა მიღწევები, კარგად შეერწყა სპექტაკლს. მ. ოძელის მუსიკა, მხატვრული გაფორმება. სპექტაკლის დინამიკური სვლა მაყურებელს არ აძლევდა მოწყენის საშუალებას. მთელი წარმოდგენა ჰგავდა ერთ ამოსუნთქვას. მან ცხადყო ქართველი რეჟისორის დამდგმელი ჯგუფისა და პოლონური დასის შემოქმედებითი მთლიანობა და ჰარმონია.



დამთავრდა სპექტაკლი. მაყურებელი დიდხანს უკრავდა ტაშს ს. მრეველიშვილს, მ. ჭავჭავაძეს, მ. ოძელს. ეს შეფასება იყო მაჩვენებელი იმისა, რომ ქართული თეატრის კიდევ ერთ სპექტაკლს ევროპის სცენაზე სრული წარმატება მოჰყვა.

საქართველოს ტელევიზია ალბათ უახლოეს ხანში უჩვენებს ფილმს, რომელშიც აღბეჭდილია პრემიერის ემოციტები. კრაკოვის ახალგაზრდულ თეატრში, პრემიერისა, რომელიც ამიერიდან პოლონეთის სცენის ბინადარი გახდება.

**გ. მურღულია.**

* * *

**სურათზე:** სცენა სპექტაკლიდან „სტუმარ-მასპინძელი". ჯოყოლა — თრანტარშიკ მულა, ადაზა — რომა ვარშუსი.

## ᲐᲕᲘᲜᲓᲘ

**ᲒᲣᲨᲘᲜ.** 15 საათზე თბილისში 35 გრადუსი სითბო იყო.

დღეს დასავლეთ საქართველოს სანაპირო რაიონებში მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, სუსტი ქარი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 28-33, მთებში 24-29 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში ზოგან ხანმოკლე წვიმა და ელჭექია მოსალოდნელი, სუსტი ქარი, დაბლობ რაიონებში 29-34, მთებში 20-25 გრადუსი იქნება.

თბილისში მოსალოდნელია უმნიშვნელო წვიმა, სუსტი ქარი, ტემპერატურა 32-34 გრადუსი.

## ᲕᲘᲓᲐᲝᲑᲐ

# ორი ვერცხლი და ბრინჯაო

**როგორც** უკვე ვიუწყებოდით, კრასნოიარსკში დამთავრდა საკავშირო ჩემპიონები თავისუფალ ჭიდაობაში, ცნობილი არიან ჩემპიონებიც. გაცნობებთ საქართველოს მოჭიდაეთა შედეგებს.

ფინალური ორთაბრძოლა ლ. თედიაშვილმა შარშანდელ ჩემპიონ ს. ბისულთანოვთან კარგ ტემპში დაიწყო, თავიდანვე გაამწვავა ჭიდაობა, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი იერიშები დაუმთავრებელი ხასიათისა იყო და ერთ-ერთ მთგანს მოულოდნელად მისივე მარცხი მოჰყვა — მესამე პერიოდში ბისულთანოვმა წმინდად გაიმარჯვა. საბოლოოდ, ორეზის ოლიმპიური ჩემპიონი ახალ წონითს კატეგორიაში მხოლოდ ვერცხლს დასჯერდა. მესამე იყო სპარტაკელი ვ. იკაეი.

თედიაშვილის გარდა ფინალურ ორთაბრძოლებში მონაწილეობდნენ აკრეგოვი ტ. როსტომაშვილი (74 კგ.), ვ. მარშანია (90 კგ.) და ნ. მოდებაძე (100 კგ. ზევით). მათგან მხოლოდ როსტომაშვილი დარჩა უმჯობესად — ნ. მოდებაძე მეორე ადგილზე გავიდა, ვ. მარშანია კი მესამეზე.

# მოკლედ

**ფრანგეთი.** ოდესაში გაიმართა სსრ კავშირისა და იაპონიის ქალთა ნაკრები გუნდების მეორე ამხანაგური მატჩი. გამარჯვება კვლავ საბჭოთა სპორტსმენებს ხვდათ, ამჯერად 3:1.

**თანამედროვე ხუთჭიდი.** ტალინში მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატის სამი სახეობის (ფარიკაობა, ცხენოსნობა, სროლა) შემდეგ დაწინაურდა კიეველი ალექსანდრე მიშეკი — 3081 ქულა. ცხენოსნობაში ყველაზე უკეთესი შედეგი უჩვენეს მოსკოველებმა ბორის მოსოლოვმა, პეტრე გორლოვმა და რიგელმა ვლადიმერ კრავცოვმა. გორლოვი კვალში ჩაუდგა ლიდერს, მაგრამ სროლამ კვლავ „ორია საქმე". აქ ყველაზე უკეთესი შედეგი ქონდა მოსკოველ ოლეგ ბულგაკოვს — 196 ქულა, რომელმაც მეორე ადგილზე გადაინაცვლა.

**კალათბურთი.** საფრანგეთის ქალაქ ტულუზში ევროპის ჩემპიონატის თავიანთ ჯგუფში საბჭოთა ჭაბუკმა კალათბურთელებმა დაამარცხეს ძირითადი მეტოქე — ტურნირის მასპინძლები — 52:39.

# „სპორტლოტო"

**სპორტული** ლატარიის მთავარმა სამმართველომ შეაჯამა 23 ივლისს გამართული „შაბათის სპორტლოტოს" ოცდამეათე ტირაჟის (36-დან 5) შედეგები:

**1 ტირაჟი:** ვინც ხუთი ნომერი გამოიცნო, წილად ხვდა მოგება 5.000 მანეთი (11 ბარათი); ვინც ოთხი ნომერი — 93 მანეთი (1.701), ვინც სამი ნომერი — 5 მანეთი (37.937).

**მე-2 ტირაჟი:** ვინც ხუთი ნომერი გამოიცნო, წილად ხვდა მოგება 5.000 მანეთი (14 ბარათი); ვინც ოთხი ნომერი — 99 მანეთი (1.661); ვინც სამი ნომერი — 4 მანეთი (41.979).

„შაბათის სპორტლოტოს" ოცდამეათე ტირაჟის (36-დან 5) მოგებათა გადახდა იწარმოებს 3 ავგისტოდან 3 სექტემბრის ჩათვლით. (საკდესი).

## ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

# ლიდერია „პახტაკორი"

**გაიმართა** „ა" კლასის პირველი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის მეორე ტურის მატჩები. დიდად საინტერესო იყო ლიდერების მინსკის „დინამოსა" და ტაშკენტის „პახტაკორის" შეხვედრა. სტუმრებმა გაიმარჯვეს — 2:0 (ორივე ბურთი მინსკელთა კარში ჩურკინმა გაიტანა) და 29 ქულით ერთპიროვნულად ჩაუდგნენ სათავეში გათამაშების ცხრილს.

გუშინ ქუთაისის „ტორპედო" მოსკოვში შეხვდა „სპარტაკს". თამაში დაძაბულად წარიმართა და დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 4:3.

# თასით გრუნდგიან

**ჩეხოსლოვაკიის** ქალაქ ბანსკა-ბისტრიცაში გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო ტურნირი. სლოვაკიის ეროვნული აჯანყების თასზე სსრ კავშირიდან ასპარეზობაში მონაწილეობდა ცსკა, რომელმაც პირველ მატჩში დაამარცხა ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდული (21 წლამდე) ნაკრები — 2:1 (1:1), ხოლო შემდეგ — ადგილობრივი „დუკლა" — 4:0 (2:0). „დუკლამ" პირველ მატჩში მოიგო „ფორვერტ" (ოდერის ფრანკფურტი) — 3:1 (2:1), „ფორვერტმა" წაიგო ახალგაზრდულ ნაკრებთანაც 0:2 (0:0).

ამრიგად, სპარტაკ ბრნოს ცსკა დაეიფლა.

# ᲥᲡᲯᲐᲠᲔᲖᲝᲒᲔᲜ ᲛᲔᲫᲚᲔᲝᲡᲜᲔᲑᲘ

**მუნიკოვის** ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე სტარტი აიღო საბჭოთა კავშირის 49-ე ჩემპიონატმა. გუშინ ცნობილი გახდნენ პირველი ჩემპიონები. ქალთა შორის სიგრძეზე ხტომაში გაიმარჯვა ოლეგ რუკავიშნიკოვამ, ბირთვის კვრაში სვეტლანა კრაჩევსკაიამ, 100 მეტრზე სირბილში — ლიუდმილა მასლაკოვამ. ამავე დისტანციაზე ვაჟთა შორის ტოლი არ ჰყავდა ვალერი ბორზოვს — 10.41 წამი.

## ᲐᲕᲐᲠᲘᲐ ᲛᲝᲡᲓᲐ. ᲛᲘᲖᲔᲖᲘ?

# გაუმასპინძლდნენ?!

**ხელვაჩაურის** ჩაის ფაბრიკების გაერთიანების დირექტორის მოადგილეს რევაზ სურმანიძეს, მთავარ აგრონომს გურამ გობეჯიშვილს და ხელვაჩაურის ჩაის ფაბრიკის აგრონომს ნუგზარ ბოლქვაძეს თბილისიდან სამსახურებრივი მიზნით სტუმრები ეწვივნენ, რომლებიც სოფელ ჩიქუნთში მიიპატიჟეს. სამგზავროდ, რევაზ სურმანიძემ ხელვაჩაურის ჩაის ფაბრიკის ცენტრალური მიმღები პუნქტის გამგის თამაზ ჯანელიძისგან „ჟიგული" ითხოვა.

სოფელ ჩიქუნთში რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ზურაბ სალეარიძეს სტუმრებს პურმარილი გაუმართა. სუფრას გვიანობამდე გასტანა, ღამის 10 საათზე აიშალნენ და ავტომობილებში ჩასხდნენ. დაიძრა თუ არა, რევაზ სურმანიძის მიერ თამაზ ჯანელიძისგან ნათხოვარი „ჟიგული" 10 მეტრის სიმაღლიდან მდინარე მაჭახელაში გადაეშვა. ავტომანქანის გადარჩენის შედეგად სამი თბილელი სტუმარი ადგილზეეე გარდაიცვალა, ხოლო ნუგზარ ბოლქვაძე მძიმედ დაშავდა. ზოგჯერ ხდება, რომ ავტომობილის მართვას და ავარიას გარდაცვლილს აბრალებენ. ახლაც ასე ცდილობს ნუგზარ ბოლქვაძე.

ვინ მართავდა ავტომობილს, მძღოლი მთვრალი იყო თუ ფხიზელი? ამას გამოძიება დაადგენს.

საზარელი რამ კი ის არის, რომ უზომო ღვინის სმას და ავტომობილის ხელიდან ხელში გადაცემას სამი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

**ა. ბუხრაშვილი,**

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ავტოინსპექციის უფროსი ინსპექტორი.


**რედაქტორი**
**დ. მჟელიშვილი.**

# თამაშობს „კოსმოსი"

### სპორტი საზღვარგარეთ

ნიუ-იორკი. როგორც საკვლევის კორესპონდენტი გადმოგვცემს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა ფრანც ბეკენბაუერმა და-ს საგენტოს კორესპონდენტთან საუბარში ასე დაახასიათა ნიუ-იორკის „კოსმოსის" თამაში: აქ, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ისევე ბევრს და დიდხანს ვარჯიშობენ და ისევე სწრაფად თამაშობენ, როგორც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაშიო.

— შეერთებულ შტატებში ევროპული ფეხბურთის მატჩები ბევრ მაყურებელს იზიდავს. ასე, მაგალითად, 62 ათასზე მეტმა გულშემატკივარმა ნახა, „კოსმოსის" შეხვედრა „ტამპა ბეი რაუდიზთან" ნიუ-ჯერსის სტადიონზე.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესლიგის ნებისმიერი კლუბი ინატრებდა მაყურებლთა ისეთ რიცხვს, როგორიც „კოსმოსის" ჰყავს. ამას წინათ ჩვენ შედიზედ ორი მატჩი წავაგეთ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენი თამაშის სანახაგად 32 ათასი კაცი მოვიდა. ამ შემთხვევაში „ბაიერნის" გულშემატკივართა რიცხვი ერთბაშად 5.000-მდე შემცირებიდა".

„რაღაც-რაღაცები, რასაკვირველია, აქ სხვაგვარად ხდება, — გაგაგრძო ბეკენბაუერმა. — მაგალითად, მატჩები უფრო მეტია და კალენდარიც უფრო დაგვირთული. „კოსმოსი" კვირაში ორ მატჩს მართავს, ბევრი მგზავრობა გვიწევს.

გამოვა თუ არა ბეკენბაუერი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების რიგებში არგენტინაში, ეს წლიწადს, ოქტომბერში გადაწყდება. თვითონ ფეხბურთელი ხალისით დათანხმდებოდა ამას, მაგრამ დასავლეთ გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას აქამდე არ შეუტანია სათანადო „განაცხადი".




### სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო

# თბილისის საფინანსო-ეკონომიკური ტექნიკუმი


ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ


**აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1977-1978 სასწავლო წლისათვის დღისა და დაუსწრებელი განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე:**

**დღის განყოფილება**

**(II კურსზე საშუალო განათლების ბაზაზე)**

**1. სახელმწიფო ბიუჯეტი** (სპეციალიზაცია — ბიუჯეტის შედგენა-შესრულება და სახელმწიფო შემოსავალი): ამზადებს ფინანსისტებს საფინანსო ორგანოების, საბიუჯეტო დაწესებულებებისა და სამეურნეო ორგანიზაციებისათვის.

**2. საბიუჯეტო აღრიცხვა** (მათ შორის რუსული ჯგუფი): ამზადებს ბუღალტერ-ფინანსისტებს საფინანსო ორგანოების, საბიუჯეტო დაწესებულებებისა და სასოფლო (სადაბო) საბჭოების ცენტრალიზებული ბუღალტერიისათვის.

**3. სახელმწიფო დაზღვევა:** ამზადებს ფინანსისტებს სახელმწიფო დაზღვევის ორგანოებისათვის.

**4. აღრიცხვა და ოპერატიული ტექნიკა სახელმწიფო ბანკში** (სპეციალიზაცია — აღრიცხვა სახელმწიფო ბანკში და აღრიცხვა შემნახველ სალაროში): ამზადებს ბუღალტრებს სახელმწიფო ბანკის განყოფილებებისათვის, ბუღალტრებს და კონტროლიორებს შემნახველი სალაროებისათვის.

**5. საბუღალტრო აღრიცხვა:** ამზადებს ბუღალტრებს მრეწველობის ცალკეული დარგებისათვის (მანქანათმშენებლობის, კვების, მსუბუქი მრეწველობისა და სხვ.).

**დაუსწრებელი განყოფილება**

**(III კურსზე საშუალო განათლების ბაზაზე, ქართული და რუსული სექტორი)**

**1. სახელმწიფო ბიუჯეტი** (სპეციალიზაცია — ბიუჯეტის შედგენა-შესრულება და სახელმწიფო შემოსავალი).

**2. საბიუჯეტო აღრიცხვა;**

**3. სახელმწიფო დაზღვევა;**

**4. აღრიცხვა და ოპერატიული ტექნიკა სახელმწიფო ბანკში** (სპეციალიზაცია — აღრიცხვა სახელმწიფო ბანკში და აღრიცხვა შემნახველ სალაროში)

**5. საბუღალტრო აღრიცხვა.**

**ტექნიკუმში მიიღებიან** მოქალაქენი დღის განყოფილებაზე 30 წლის ასაკამდე, ხოლო დაუსწრებელ განყოფილებაზე — ასაკის განუსაზღვრელად.

**ტექნიკუმში ჩაირიცხებიან** საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, რომლებიც ჩაბარებენ მისაღებ გამოცდებს ორივე განყოფილების შემდეგ საგნებში: ქართულ სექტორზე — 1. ქართული ენასა და ლიტერატურაში (წერა), 2. მათემატიკაში (ზეპირი), ხოლო რუსულ სექტორზე შემსვლელნი: 1. რუსული ენასა და ლიტერატურაში (წერა), 2. მათემატიკაში (ზეპირი).

**უგამოცდოდ ჩაირიცხებიან:** ა) საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, ოქროს ან ვერცხლის მედალოსნები, საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულნი, რომლებსაც მიღებული აქვთ წარჩინების დიპლომი. ბ) სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებიდან უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში დათხოვნილი ოფიცრები, პრაპორშჩიკები და მიჩმანები.

**მისაღები გამოცდების ჩაბარების შედეგად კონკურსგარეშე ჩაირიცხებიან**

**დღის განყოფილებაზე:** ა) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 18 სექტემბრის № 1099 დადგენილების შესაბამისად წარმოებიდან მოვლენებული პირები; ბ) საბჭოთა არმიიდან უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში დემობილიზებულები და ორი წლისა და მეტი პრაქტიკული მუშაობის სტაჟის მქონე პირები.

**დაუსწრებელ განყოფილებაზე:** ა) სამამულო ომის მონაწილენი; ბ) სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის № 729 დადგენილების შესაბამისად წარმოებიდან, კოლმეურნეობიდან, საბჭოთა მეურნეობიდან, დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან მოვლენებული პირები, რომელთა მუშაობის ხასიათი შეესაბამება სასწავლებელში არჩეულ სპეციალობას და აქვთ ამ სპეციალობაში მუშაობის არანაკლებ 3 თვის სტაჟი. გ) სასწავლებელში, ტექნიკუმში — სპეციალობაში ან მის მოსათესავე სპეციალობაში პრაქტიკული მუშაობის არანაკლებ ორი წლის სტაჟის მქონე პირები, აგრეთვე სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილნი, რომელთა სამხედრო სამსახურში მიღებულ სპეციალობა შეესაბამება სასწავლებელში არჩეულ სპეციალობას.

კონკურსით შერჩევის მხედველობაში იქნება მიღებული როგორც გამოცდის ნიშნები, ისე სკოლის დამთავრების დოკუმენტში ნაჩვენები ნიშნები.

ტექნიკუმის დღის სწავლების განყოფილებაზე ჩარიცხული მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით და საერთო საცხოვრებლით არსებული წესის მიხედვით.

**განცხადებები მიიღება ტექნიკუმის დირექტორის სახელზე** დღის განყოფილებაზე — 14 აგვისტომდე, დაუსწრებელ განყოფილებაზე — 10 აგვისტომდე. ტექნიკუმში შემსვლელმა უნდა დაურთოს შემდეგი საბუთები;

1. განათლების მოწმობა (დედანი);

2. საქმიო ცნობა № 286;

3. ოთხი ფოტოსურათი (ზომა 3X4);

4. პასპორტი, სამხედრო-ბილეთი (სამხედრო ვალდებულთათვის) ან სამხედრო აღრიცხვის ბარათი (წვევამდელთათვის) უნდა წარმოადგინოთ პირადად.

დაუსწრებელი სწავლების განყოფილებაზე მიიღებიან ის პირნი, რომლებიც მუშაობენ სახალხო მეურნეობის რომელიმე დარგში და წარმოადგენენ შრომის წიგნაკიდან ამონაწერს, შემოწმებულს ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ.

ჩარიცხვის შემთხვევაში სასწავლო წლის დასაწყისში უნდა წარმოადგინონ მუშაობის სტაჟის დამადასტურებელი საბუთის დედანი.

**მისაღები გამოცდები იწარმოებს დღის განყოფილებაზე — 15-დან 22 აგვისტომდე, დაუსწრებელ განყოფილებაზე ტექნიკუმის გამოწვევით 20 აგვისტომდე ქ. თბილისში.**

**მისამართი:** თბილისი, მიცკევიჩის ქ. № 19 (სპურთალო) ტელეფონი: 36-55-69, 36-30-55

### სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი

# თბილისის ინდუსტრიულ-პედაგოგიური ტექნიკუმი



**აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1977-1978 სასწავლო წლისათვის დღის განყოფილებაზე**

**მიღება იწარმოებს შემდეგ სპეციალობებზე:**

1. ლითონების ჭრით დამუშავება (ქართული სექტორი);

2. სამრეწველო მოწყობილობათა მონტაჟი და რემონტი (ქართული, რუსული სექტორები);

3. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა (ქართული სექტორი);

4. სოფლის მეურნეობის მექანიზაცია (ქართული სექტორი).

**ტექნიკუმში მიიღებიან** 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდები, რომლებსაც აქვთ საშუალო განათლება, შესაბამისი სპეციალობა, საჭირო კვალიფიკაცია და პედაგოგიური საქმიანობისადმი მიდრეკილება მათ შორის: საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებულები, მუშები, რომლებსაც აქვთ სპეციალობის შესაბამისი მუშაობის სტაჟი, საშუალო პროფტექნიკური და ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულები, რომლებსაც აქვთ არანაკლებ ერთი წლის საწარმოო სტაჟი, ხოლო ისინი, ვინც სკოლა 1977 წელს დაამთავრა წარჩინებით, მიიღებიან საწარმოო სტაჟის გარეშე.

მისაღებ გამოცდებზე დაშვებიან ისინი, ვისაც აქვს არანაკლებ მესამე თანრიგის საწარმოო კვალიფიკაცია: ლითონებით ჭრის დამუშავების სპეციალობაზე — ხარატები, მოარეგები; სამრეწველო მოწყობილობის მონტაჟისა და რემონტის სპეციალობაზე — სამრეწველო მოწყობილობის შემკეთებელი ზეინკლები; სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის სპეციალობაზე — ხურეები, დურგლები, კალატოზები, კონსტრუქციის მემონტაჟე-კალატოზები, მლესავ-მღებავები; სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სპეციალობაზე — ტრაქტორისტ-მემანქანეები, ავტომანქანების, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების და ტრაქტორების შემკეთებელი ზეინკლები, ტრაქტორისტ-მემანდვრეთა ბრიგადის ბრიგადირები, მანქანა-ტრაქტორთა პარკების ტექნიკური მომსახურების ოსტატ-გამმართველები.

ტექნიკუმში შემსვლელნი გამოცდებს აბარებენ:

1. საკვალიფიკაციო სამუშაო (შესაბამის სპეციალობაში);

2. მშობლიური ენასა და ლიტერატურაში (წერა);

3. მათემატიკა (ზეპირი).

ტექნიკუმში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. განცხადება დირექტორის სახელზე;

2. ატესტატი საშუალო განათლების შესახებ (დედანი);

3. ატესტატი პროფესიულ-ტექნიკური ან ტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შესახებ;

4. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ;

5. ფოტოსურათი (ზომა 3X4);

6. დაბადების მოწმობის და პასპორტს, სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობის ტექნიკუმში შემსვლელი წარმოადგენს პირადად.

**ხაზუთების მიღება იწარმოებს 14 აგვისტომდე, ხოლო მისაღები გამოცდები მოეწყობა 15 აგვისტოდან 21 აგვისტომდე.**

ტექნიკუმში ჩარიცხული მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან კვებით, ტანსაცმლით და სტიპენდიით.

**სწავლა დაიწყება ა. წ. 1 სექტემბერს.**

**ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:** თბილისი, ორჯონიკიძის ქ. 49, ტელეფონი: 95-15-51, 95-34-85, 95-89-52.

## ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

### 27 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

**პირველი პროგრამით**

10.00 — ახალი ამბები (მოსკოვიდან, 10.10 — დღის ვარჯიში (ფერადი. მოსკოვიდან), 10.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ეერმეცი და სხვები", 11.00 — „კინომოგზაურობის კლუბი" (ფერადი. მოსკოვიდან), 12.00 — „ჩვენი ბიოგრაფია" — „1958 წელი" (ფერადი. მოსკოვიდან), 17.00 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „რუდნი" (ქართულ ენაზე), 17.20 — „დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისთვის" — საიუბილეო კონცერტი — „უკრაინისა და საქართველოს სატელევიზიო ფილმების სტუდიის ერთობლივი ნაწარმოები სატელევიზიო ფილმი „გულუხვობა" (ფერადი) პრემიერა, 18.20 — განცხადებები, 18.25 — მოსწავლეთათვის — „საბჭოთა ცხოვრების კანონი", 18.45 — „საბჭოელი მედიცინაში" (განმეორებით), 19.20 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ტოლიატი — ქალაქი ქიგულებში" (ფერადი), 19.30 — ბელორუსული საბჭოთა ლიტერატურა, 20.20 — „საუბარი სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტზე" — სტუდიაში პოლიტიკური მიმომხილველი ლ. ა. ვოზნესენსკი. გადაცემა პირველი (ფერადი. მოსკოვიდან), 20.50 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.20 — „უკრავენ მ. მდივანი და თ. გაბარაშვილი (ფერადი), 22.00 — „ეერმეცი" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — პირველად ჩვენს ეკრანზე — მხატვრული ფილმი „ასლა როგორ გიწოდოთ".

**მეორე პროგრამით**

18.00 — განცხადებები, 18.05 — მხატვრული ფილმი „იყო მაისი".

## ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ

### 28 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

**პირველი პროგრამით**

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — „ჩვენი მთა-ბარის ბანგები", 06.50 — „სოფლის დილა", 07.30 — „დილის კონცერტი", 08.00 — „გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მოსკოვიდან), 08.32 — მსუბუქი მუსიკა, 09.15 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი", 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (მოსკოვიდან), 11.05 — ვ. მურადელი. ნაწყვეტები ოპერიდან „ოქტომბერი", 11.42 — „სკკპ როლის ზრდა კომუნისტურ მშენებლობაში", 12.15 — მსუბუქი საორკესტრო პიესები, 12.25 — „ცცენის ოსტატები", 12.35 — ფ. ალაშვილი. სიმღერები, 12.45 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.50 — ა. არენსკი. ფანტაზია რიაბინინის ბილენების თემებზე, 13.15 — ამინდის ბიულეტენი, 13.30 — „გაზეთ „პრავდის" მოწინავე სტატია, 13.40 — ქართული ხალხური სიმღერები, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა". ჭ. ამირეჯიბი „დათა თუთაშხია" (დასასრული), 14.20 — ნ. ბაგანინი. პირველი სავიოლინო კონცერტი, 17.15 — დ. მოსტაკოვიჩი. რომანსები, 17.30 — მოსწავლეთათვის რადიოსადგური „სიყმაწვილეს თანამგზავრი", 18.00 — „დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისათვის — „აფხაზეთის სსრ ახალი ამბები", 18.10 — „ავ